ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბრიდაქმნა შენი თავით ყანდა დაიწყო!

ნახ. ჯ. ოდლოვასი

— ეს ფულის მფოვნელი თავი რომელ თავში გავცვალო?!

ISSN 0132-6015

სექტემბერი 1988

17

ნიანგი



ეროვნული ბიბლიოთეკა

იუმორესკა

ბეცი უნდა იყო ადამიანი, რომ ვერ ხედავდე იმ სიკეთეს, რაც ამ ბოლო დროს თბილისელი მოქალაქის მომსახურების სფეროში ხდება. და მაინც ცოტა როდია ენაჭარტალა და უბედური, კრიტიკანად დაბადებული კაცი — ნიადაგ მობუზღუნე, სულ უკმაყოფილო.

შემხვდა ერთი მათგანი გუშინწინ. გამაგებინე ერთიო, მითხრა, ხინკალი თვითონ ნეგატიური მოვლენა არის თუ არაო?! — თვითონ ხინკალი, როგორც ასეთი, არა-მეთქი, — გულუბრყვილოდ მივუგე. რატომ გავუმართეთ, აბა, ასე ენერგიული ბრძოლა ხინკალს, ქაბაბსა და ხაშს თბილისშიო?! — არ ვიცი, რას გულისხმობ-მეთქი, მხრები ავიჩეჩე. — ჭურში ზიხარო, — გაიცინა, — „ველიამინოვის“ ხინკალი წამლადაც არ იშოვება თბილისში, ხაშზე ხომ „ხაშისტებიც“ კარგა ხანია აღარ ოცნებობენო.

სხვა დროს კამათს არ დავუწყებდი, მაგრამ წავა და ამ ცრუ შეხედულებას სხვას გაუზიარებს. მოიხედე აქეთ-მეთქი. მოიხედა და ვუთხარი: — უმაღლესი კლასის რესტორნები აშენდა და შენ სახინკლეებს მისტირი?! „ველიამინოვის“ სახინკლე თუ მოშალეს, განა სანაპიროზე არ გაგიხსნეს ლუდის ბარი?! ჭამე, რამდენი ქაბაბ-ხინკალიც გაგიხარდება! — შენო ჭურში ხომ არ ზიხარო, — გაიოცა, — იმ ლუდის ბარში კარგა ხანია, მარტო ლუდს და დასაყოლებლად მაკარონისებურ მარილიან პურს ყიდიან, თევზს, ქაბაბსა და ხინკალს (გინდაც სოსიას), ჭიპზე რომ გასკდე, არ მოგართმევენო! — არ მოგართმევენ და ძალიანაც კარგი, შენ ყველაფერს ხომ არ აგიხსნით, ჯიბეს იაქელებდნენ მავანნი და მავანნი ხინკლით და ქაბაბით, გაატყავეს, გააღარიბეს პატიოსანი მომხმარებლები. ამიტომაც გადავუჭერით ფულის შოვნის არტერია, დავუკეტეთ სალუდე-სახინკლე-საქაბაბეები-მეთქი, ვუთხარი მე. — ვისაც ხინკალი უყვარს, იმან რა ქნასო?! — მითხრა მან. შედი, შე მამაცხონებულო, ფეშენებელურ რესტორანში. მართალია, სახინკლესთან შედარებით უფრო ძვირი დაგიჯდება, მაგრამ ქე მაინც დაჯდები წეაიერად, დაილაპარაკებ ადამიანურად-მეთქი. რამ შეგაყვარა ეს გაურეცხავი ხაში-მეთქი. ისე სინდისგარეცხილია, ვერც ახლა ჩასწვდა მის მიმართ ჩადენილ სიკეთეს. — ხაშსა და ხინკალს მაინც თავისი ადგილი აქვსო. თბილისის კოლორიტი იყო ხაში და ხინკალი (ელაპარაკე ახლა ამას!), თუ ამ ფრონტზე მექრთამეები და წამგლეჯები მომრავლდნენ, სწორედ ისინი უნდა გაგვეუქმებინა და არა სახინკლეებიო. რა არ ვუთხარი, საკუთარი თეფშის იქითაც უნდა გაიხედო ხანდახან, შენნაირებია, წინავლაში რომ ხელს გვიშლიან, რა ქაბაბი და ხაში აგიტყდა, შენ რომ იცოდე, ხინკალი, ბერავს ადამიანს და ჰიპერტონიულ დაავადებას იწვევს, ლუდის უზომო სმა და ქაბაბის „უპრაგონოდ“ ჭამა თირკმლებს აზიანებს-მეთქი.

ამ ჩხუბსა და კამათში ქე მომშივდა. სამი მანეთი მიდევს ჯიბეში, მაგრამ რად გინდა! სახინკლე რომ იყოს სადმე ახლოს, კიდევ ჰო, იოლად გამოხვალ კაცი: ორ ლუდს, თხუთმეტ ხინკალს და ერთ ქაბაბს იყიდი და ქუდი ჭერს ურტყი, თუ გინდა!.. რესტორანში სამ მანეთს აკადრებ?!

დავემშვიდობე ანტიპოდს და ავტობუსის გაჩერებისკენ მოვკურცხლე. ჩემი სიდედრის გაკეთებულ სადილს რამე სჯობია?! აი, ჩვენი მომსახურების სიკეთე!.. დამშვიდობებული რომ არ ვიყო, მოვაბრუნებდი და ვეტყოდი: — შინ ვისადილებ, ამით რამდენ ჭკვიანურ საქმეს გავაკეთებ, რომ იცოდე: ჯერ ერთი, ეს სამი მანეთი ხომ გადამირჩება, მუცელი არ გამეხერება და ჯანმრთელობის საქმეებიც წინ წავწევ, სიდედრს გავახარებ ჩემი ნახვით და ცოლსაც გავათავისუფლებ ამღამინდელი უსაფუძვლო ეჭვიანობისაგან!

არაჩეშია

ნახ. ვ. კუციასი



უსიტყვოდ

ნახ. მ. აბაშიძისა

— გეყოფათ! ჩემი კოოპერატივის ახლოს გავლილი არ დაგინახოთ!

კოკა წყაროზე ტყდება!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწას მიიჩნევს ქალამნად,
ცა მიაჩნია ქუდად,
ძალიან ცუდზე კარგად წერს,
ძალიან კარგზე — ცუდად.
ადგილზე მოიკალათა,
კრაზანასავით დადის,
არ დაიქადნის უბრალოდ,
„საქმით ამშვენებს“ ქადილს.
მისთვის სარფიან ადგილებს
ქორივით გადაუფრენს,
არ გაიმეტეს ერთხელაც,
თუმც ბევრჯერ კი მიუხვდნენ.
ცხვარი, გოჭი და ბატკანი
მგელივით „ეჯავრება“,
ვინ შეძლებს იმის „ნალვაწის“
ბოლომდე შეჯამებას?
ცაც აღარ უნდა ქუდად და
მიწას ქალამნად ჩათვლის?
დაუსჯელობის წყალობით
მადა გაეხსნა დათვის.
ის კი არ იცის საბრალომ,
კოკა წყალზე რომ ტყდება,
მისებრ სხვის ხარჯზე
მცხოვრები
სამსჯავრო სკამზე ჯდება!

სეხნია გოგოლაშვილი

ქიქა ბორჯომის წყალი

ჩანახატი

უმალლესი სასწავლებლის სააქტო დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი, იყვნენ პროფესორ-მასწავლებლები, მოწვეული პირები, უმრავლესად — სტუდენტები, იგრძნობოდა საზეიმო განწყობა.

ტრიბუნაზე ახალგამომცხვარი დოქტორი იდგა, იგი პათოსით ლაპარაკობდა ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემებზე და დირიჟორივით ატრიალებდა ხელში წითელ ფანქარს. სიტყვა მაღალფარდოვანი მოწოდებით დაასრულა და კათედრიდან ჩამოვიდა. შემდეგ, თითქოს რაღაც მოაგონდაო, ოდნავ შეყოვნდა, ხელის სწრაფი მოძრაობით „ბორჯომის“ ბოთლი ჭიქაში ჩააპირქვავა, პირთამდე აავსო და მოსვა, ტუჩები ენით მოილოკა, ნახევრად მოსმული ჭიქა კათედრაზე დატოვა. თავმჯდომარემ, მსუქანმა, მელოტმა პროფესორმა, სიტყვა აკადემიკოს მსუქნიშვილს მისცა, რომელიც იმ ორატორის სადოქტორო შრომის ოპონენტი იყო, ახლახან კათედრიდან რომ ჩამოვიდა.

მსუქნიშვილი ნელი ნაბიჯით ავიდა კათედრაზე, ლაპარაკობდა წყნარად, დამაჯერებლად. სიტყვა მეცნიერულ სინდისზე რომ ჩამოაგდო, ხმა ჩაეხრინწა და ანაზდად თვალი კათედრის მარჯვენა კუთხეში მდგარ ჭიქას შეავლო — ელექტრონის შუქზე ბორჯომის წყალი მიმზიდველად იბუშტებოდა.

მსუქნიშვილი ბუნებით ფაქიზი ბრძანდებოდა, მან იცოდა, რომ ჭიქაში იმ წყლის ნარჩენი იდგა, მისმა წინამორბედმა ორატორმა რომ დატოვა; ჯერ გადაწყვიტა დაეძლია ის ზიზღი, რომელსაც მასში ჰიგიენური არაეთიკურობა იწვევდა, მაგრამ რაკი ვერ დაძლია, არჩია ხელი აეღო სიტყვის გაგრძელებაზე. აუდიტორიისათვის გაურკვევლად რაღაცა ჩაილაპარაკა, ტრიბუნიდან ჩამოვიდა და უკმაყოფილო სახით დაიკავა ადგილი მაგიდასთან, სადაც პრეზიდიუმის წევრები და საპატიო სტუმრები ისხდნენ.

ტრიბუნაზე ორატორი ორატორს ცვლიდა; ერთმა ორატორმა, რომელსაც უკანიდან საგულდაგულოდ გადმოვარცხნილი თმის ღერები შუბლზე ჰქონდა დაკრული, ნაკლული ჭიქა შეავსო, მოსვა და კვლავ კათედრაზე დატოვა. მომდევნო ორატორმაც ასე გაიმეორა, იმის მომდევნომაც... სხდომამ გვიან ღამემდე გასტანა. საკითხისადმი საერთო ინტერესი ძალიან დიდი იყო, — მომავალი თაობის მორალური და ეთიკური აღზრდის პრობლემებს იხილავდნენ!

გ. ბორჯოველი

ოცნებას კაცი არ მოუკლავს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზრის, როგორც გაცვლა-გამოცვლის ერთეულის შექმნის იდეა, ალბათ, მაშინ ჩაისახა, როცა მავანმა უდარდელად ჩაიღიღინა: „თხა გავყიდე, თხა ვიყიდე...“ ასეთია თეორიული თვალსაზრისი, პრაქტიკულად კი ბაზარი, ალბათ, მაშინ შეიქმნა, მაიმუნი რომ ხიდან ჩამოვიდა, ხელში კომბალი დაიჭირა, ადამიანად იქცა და სხვა ადამიანს ქვაში გაუცვალა კომბალი. რაც შეეხება საკოლმეურნეო ბაზარს, იგი კოლმეურნეობასთან ერთად ჩამოყალიბდა და იმიტომაც არის ზოგიერთ კოლმეურნეობასავით უპატრონოდ მიგდებული. თუმცა, ნუ შევქმნით „ბაზარს“ და ყველაფერი რიგის მიხედვით მიმოვიხილოთ.

დღეს თბილისში 9 საკოლმეურნეო ბაზარი „ბაზრობს“, რომელთა შორის სავაჭრო ადგილების მიხედვით პირველობენ **1 მაისის რაიონისა და 26 კომისრის (ნავთლუღის) საკოლმეურნეო ბაზრები.** პირველობას ისინი არც იმაში თმობენ, რომ თითოეულ სავაჭრო ადგილზე ორი და ზოგჯერ მეტი ადამიანი ვაჭრობს. მაგრამ რა ჰქნან ყოფნა-არყოფნის ზღვარზე გარინდებულმა ბაზრის მესვეურებმა, თუ თბილისის საქალაქო საბჭოს მიერ შემუშავებულ დებულებაში უწერიათ, რომ მაქსიმალურად უზრუნველჰყონ ქალაქის მოსახლეობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით? წინ ხომ ვერ აღუდგებიან კოლმეურნეთა სურვილს, ივაჭრონ რკინიგზის სადგურებთან ახლო მდებარე ბაზრებში. მით უმეტეს, თუ სპეციალური სატრანსპორტო სამსახური იმდენად მყარად ვერ დგას საბურავებზე, რომ კოლმეურნეები სხვა ბაზრებში გადაიყვანოს. ჰოდა, ჰგვანან ბაბილონის გოდოლს **I მაისის რაიონისა და ნავთლუღის ბაზრები,** ერთმანეთს მიყუჟვიან გამყიდველები, უწყვეტ ნაკადად მოედინებიან ხელდამძიმებული მყიდველები და ასეთ ორომტრიალში შეიძლება გასაყიდი სპილო, ან ნაყიდი აქლემი დაგეკარგოთ.

გამოსავალი მხოლოდ ნავთლუღის ბაზარს აქვს, ისიც იმ შემთხვევაში, თუ მისი სავაჭრო ფართი გაიზრდება იქვე მდებარე გამოთავისუფლებული ტერიტორიის ხარჯზე. პირველი მაისის რაიონის ბაზარს კი ამგვარი პერსპექტივა არ გააჩნია, რადგან მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებითა და წარმოება-დაწესებულებებითაა გარშემორტყმული. აი, დაშენებაზე რომ იფიქრონ, ეტაპობრივად, რა თქმა უნდა!..

„ამ უკანასკნელ დროს საქონლის ჩარჩების რიცხვი საშინლად გამრავლდა. ნავთლუღის მცხოვრებნი თითქმის მთლად ჩარჩებად გადაიქცნენ, ეს ჩარჩები ვაჭრებს თითქმის ხელიდან აცლიან საქონელს ძალათი...“ დაახლოებით 90 წლის წინათ გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილს სქოლიო რომ მოაშორო, გრამატიკის თვალსაზრისით თუ ჩათვლის მკითხველი არქაულად, თორემ შინაარსობრივად დღევანდელი დღის სურათად მიიჩნევს. რა კოდექსებითა და პარაგრაფებით არ დასდევენ ჩარჩებს ბაზრის მესვეურები და მილიცია, მაგრამ სპეკულანტის გოდოლი მხოლოდ მას შემდეგ შეირყა, როცა ბაზრებში ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემსყიდველი და სარეალიზაციო პუნქტები, გლეხებისაგან რომ შეიძენენ პროდუქტებს და მოსახლეობისათვის ხელსაყრელ ფასში ჰყიდიან. ჩარჩობა სპეკულაციაა, და სპეკულაციას ადმინისტრირებით კი არა, დეფიციტური პროდუქციის სიუხვით უნდა ებრძოლო.

— ამ პუნქტებს სხვა დადებითი თვისებაც გააჩნიათ!, — გვიხსნიან ბაზრის მესვეურები, გარდა იმისა, რომ კონკურენციას ვუწევთ ბაზარში შემოსულ ხარბ გამყიდველს, ზედმეტი დროის დაკარგვისაგან ვათავისუფლებთ კოლმეურნეს, რომელსაც დახლთან დგომას ურჩევნია ერთიანად ჩაგვაბაროს პროდუქტი, თავად კი შინ დაბრუნდეს და საქმეს მიხედოს...

გარდა ამისა, მათ ხელშეკრულება აქვთ დადებული როგორც კოლმეურნეობებთან, ასევე ცალკეულ კოლმეურნეებთანაც, რომლებიც ამარაგებენ ბაზრებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებით. ეს კი კონიუნქტურას არეგულირებს...

ნებისმიერ საკოლმეურნეო ბაზარში ყურადღებას იპყრობს ასეთი საჩოთირო ფაქტი — იქ, სადაც ნესვი და საზამთრო იყიდება, ცივ მინაზე გაშლილ ფარდაგზე სძინავთ მათ პატრონებს. გასაკვირი ამაში არაფერია, 10-15 ტონა საზამთროს ან ნესვს, ერთ დღეში, რიგი რომ გედგას, მაინც ვერ გაყიდი. მისი უპატრონოდ მიტოვებაც არ შეიძლება, რადგან სეზონის დასაწყისში თითო ნესვისა თუ საზამთროს ღირებულება 10-15 მანეთია. მათი ისე შენახვა კი, ქურდს რომ თვალი არ წასტაცოს, ვერ არის მოგვარებული. ამიტომ, იქნებ მოვახერხოთ, რომ პროდუქტიც საიმედოდ დაბინავდეს და მისი პატრონიც. ხომ არის **ნავთლუღის ბაზართან სასტუმრო „სამგორი“,** რომელიც ადრე საკოლმეურნეო ბაზარს ეკუთვნოდა, შემდეგ წაართვეს და კომუნალურ მეურნეობას მიართვეს. სასტუმროს ამით არაფერი შემატებია, ბაზარს კი ბევრი რამ დააკლდა. იქნებ ახლა მაინც იზრუნონ იქ, ზემო სართულებში, ისეთი სასტუმროებისა თუ ღამისსათევი ადგილების მშენებლობაზე, სადაც მთელი დღის ფეხზე დგომით ქანცგაწყვეტილი კოლმეურნე დაისვენებს?

ძალზე შორს გაგირეკიათო, დაგვაბრალებს მკითხველ-ბრალეული. მართლაც, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბაზრის მესვეურებს დღეს სრულიად ელემენტარული საკითხები აქვთ მოუგვარებელი, არ ჰყოფნით ინვენტარი, სასწორები, გირები და სხვა აუცილებელი ატრიბუტები, ამგვარი სურვილები შეიძლება ოდნავ გადაჭარბებულიც კი მოგეჩვენოთ. მაგრამ, ეს ხომ ბევრი ჩვენგანის ოცნების ნაყოფია, რომლის ხორცშესხმას აუცილებლად მოჰყვება მთელი რიგი პოზიტიური ძვრებისა საკოლმეურნეო ბაზრების საქმიანობაში.

ოცნებას კაცი არ მოუკლავს!..

როლანდ ჯალაღანია

ვლადიმერ მაიაკოვსკი

ვინც სად მუშაობთ,
ყველანი იქვე
მრავლად შეხვდებით
ქლესას და მლიქვნელს.
ზოგჯერ ჯეელნი
მათ ბრმად ბაძავენ —
მღვრიე სდის წყალი
მღვრიე სათავეს.
მავანი ცდილობს,
რომ უფროსის
მოიგოს გული,
ცდილობს, რომ მიხვდეს
იმის ყველა
განზრახვას, სურვილს.
ვთქვათ, დაასწარით
უფროსს თქვენსას
გაღება კარის —
ფუჭი შრომაა,
თქვენ ამჯერად აგექცათ
მხარი!

ამ გულუბრყვილო
წადილს იგი არაფრად
ჩათვლის,

იფიქრებს:
თითქოს გევალებათ
ეს საქმე შტატით.
არსებობს კიდევ
მეთოდები
უფრო უხეშიც,
როცა პირდაპირ
ვუვარდებით
უფროსს მუხლებში.
მლიქვნელობასაც ნიჭი უნდა,
ალღო ჭირდება,
ნიჭის გარეშე
მლიქვნელებსაც
გაუჭირდებათ.
დამწყებ მლიქვნელთა
საშველად და დასახმარებლად
გვსურს რამდენიმე შეგონება,
არ გვეზარება!

მიაქვს ბაგესთან —
ალარ ჩერდება,
რაკი ერთხელ
ენას ალესავს...
ამ დროს
ვიღაცა იყვირებს წყრომით
— მომხსენებელო!
რეგლამენტი გავიდა მგონი!
თქვენ სწორედ მაშინ
ადგებით მყისვე
და მოიღერებთ
უტიფრად კისერს:
იტყვით,
რომ სიტყვა მომხსენებლის
მზესავით ელავს
და ამიტომაც
მოვუსმინოთ
ბოლომდის ყველამ!
უფროსი იგი
ამის მერე აღარასოდეს



არ დაგივიწყებთ,
შეგნიშნავთ და
დაგიმახსოვრებთ!
თუ ხელმძღვანელი
რაღაც სიტყვის თქმას
ეპირება,
ხელში ჩაიგდეთ
ხელნაწერი აუცილებლად
და შეხვედრისას
ჩაუკარით ღიმილით თვალი,
ხმა დაიშაქრეთ,
ძალიანაც
რომ იყოთ მწყრალი:
„სიტყვა კი არა,
რომანია,
ნაღდი შედევრი,
თქვენ პოეტი ხართ,

ო, ამდენი
როგორ შეძელით?
„ანტიდიურინგს“
ამ თხზულებას
ვერც შევადარებ.
ეს ბრძნული აზრი,
ეტყობა, რომ დიდხანს
ატარეთ!..“

უფროსი იგი
ამის მერე
აღარასოდეს
არ დაგივიწყებთ,
შეგნიშნავთ და
დაგიმახსოვრებთ!
თუკი შემთვრალი ხელმძღვანელი
შენიშნოთ გზაში,
მანქანით მოდის
ლამაზმანთა თანხლებით,
მაშინ
კედლის გაზეთში
გამოაცხვეთ სტატია ხელად,
რომ დროა,
ჩვენთან
დროის ფასი ისწავლოს
ყველამ,
რომ დროა, უკვე
ჩაუკვირდეს
ამ ამბავს კარგად,
ვინც სამსახურში
ფეხით დადის
და დროსა კარგავს!..
შენ ამის მერე
თავი ქუდში
რომ გაქვს, იცოდე,
უფროსი იგი
მოწყალე ხელს
გამოგიწოდებს!..
და თუკი არ გსურთ
პირფერად და მლიქვნელად
ყოფნა,
პირს ნუ აიკრავთ,
ნუ ჩაუვლით
გულგრილად გვერდით
უმსგავსოებას, სისაძაგლეს,
ნუ მოიქცევით
იმგვარად, როგორც ცოტა ზევით
ამ ლექსში ვწერდით!

თარგმნა თედო ბეჭიშვილმა
ილუსტრაციები ზ. ფორჩხიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნიტაზედ

ДУМОЕЛИ, РОМОЕЛИЦ ЧВИРИС!

ᲒᲚᲔᲮᲐᲕᲔᲑᲐ თუ ᲧᲐᲜᲐᲚᲐ ᲧᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲧᲠᲘᲚᲘᲐ — ᲧᲝᲤᲘᲡᲔᲑᲐᲠᲘ ᲡᲘᲒᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲐᲡᲘᲐ ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲔᲑᲘᲗ — ᲧᲝᲤᲘᲡᲔᲑᲐᲠᲘ ᲡᲘᲒᲚᲘᲡ ᲛᲘᲣᲠᲘᲡ ᲒᲣᲜᲘᲗ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲗᲐᲜᲐᲒᲘᲜᲘ ᲜᲘᲜᲓᲐᲗᲐᲗ ᲛᲘᲣᲠᲘᲡ ᲒᲣᲜᲘᲗ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲡ. ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲘᲡᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲜᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲜᲘ ᲛᲘᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲐᲗᲐᲗ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲡᲐᲛᲘᲜᲘ ᲜᲘᲜᲓᲐᲗᲐᲗ

ბარათები „ნიანგს“

ვცხოვრობთ თბილისის ცენტრში, გალაკტიონ ტაბიძის № 12 სახლში. ოთხიოდე წლის წინათ ამ ჩვენს ორსართულიან და ორსადარბაზოიან სახლს ერთი სადარბაზო ჩამოაცალეს, მინგრეულ-მონგრეული კედელი შენიღბეს, დერეფნებში ჭერს ხის ბოძები შეუყენეს და დატოვეს ასე. თითქმის ყველა ბინა ავარიულ მდგომარეობაშია, წვიმის დროს, როგორც გარეთ, ისე ჩამოდის ოთახებში წყალი. გვილპება და ნესტიანდება კედლები, ავეჯი. ხის ბოძებიც უკვე დალპა. ვჩივით. კომისიას კომისია ცვლის, მდგომარეობა კი უცვლელია.

რა გვეშველება, ნიანგო?

ტაბიძის ქ. № 12 სახლის მობინადრენი: ნ. სიმაკოვი, ვ. ლუბეშკინი, ვ. შარვაშიძე, ლ. ბაგრამიანი, ვ. ცაპოვა, ა. გიბრაძე.

გორიდან გაწუხებთ, ცხინვალის გზატკეცილის № №41, 45 და 47 სახლებში მცხოვრებნი. სამივე სახლის მობინადრენი ხელშეკრულებით ვიყავით წასულები მშენებლობაზე ვოლოგდის ოლქში იმ პირობით, რომ მივიღებდით ბინებს. ბევრი თმენისა და ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, მართლაც მივიღეთ აღნიშნულ მისამართზე ბინები, მაგრამ როგორი, ნულარ იკითხავთ. არაფერს ვამბობთ მათ ხარისხზე. შეგვპირდნენ, რომ მალე გვექნებოდა გათბობა და ცხელი წყალი. თუმცა ცხელ წყალზე ვინღა ჩივის, როცა ცივიც გვენატრება. სახლიდან 700 მეტრის დაშორებით ვეზიდებით სასმელ წყალს.

რა ვქნათ, რა წყალში ჩავვარდეთ უწყლოობით შეწუხებულები, ძმაო ნიანგო?

ც. ბასილაშვილი, ზ. შატაკიშვილი, ტ. წიქარიძე, დ. ამირიძე და სხვები

რუსთავში, რუსთაველის ქ. №33 სახლის უკან, ეზოში სამმა მობინადრემ თვითნებურად ააშენა ავტოგარაჟი. არც სათანადო ნებართვა აქვთ და არც რაიმე საბუთი. ვიჩივლეთ და ქალაქის საბინაო ტრესტის წარმომადგენლებმა ერთს მოუნგრიეს გარაჟი და დატოვეს ასე, ნახევრად დაშლილ-დანგრეული, ორი კი დარჩა ისევ ხელუხლებელი. სად არ ვიჩივლეთ, ვის არ მივმართეთ, გვპირდებიან აუცილებლად დავანგრევინებთო, მაგრამ გარაჟები ისევ დგანან. ამ ბოლო დროს კი მათმა პატრონებმა თქვეს გარაჟების კოოპერატივს ვქმნით და სადაც გინდათ, იქ გვიჩივლეთო. ჯერ ერთი, გარაჟების ამხანაგური მშენებლობა ქალაქში კარგა ხანია დაიწყო ორგანიზებულად და მას სათანადო შესაფერისი ადგილიც მიუჩინეს, მეორეც, ვის აქვს უფლება საერთო ეზოში დადგას გარაჟი და შექმნას კოოპერატივი?

რუსთაველის ქუჩის № 33 სახლის მცხოვრებნი

(ქ. რუსთავი)

შევიძინე სკამი, რომელიც მარელისის ავეჯის ფაბრიკის ნახელავია (ამას „ფუნ“ ნახელავი ჰქვია!). ჩემი აზრით, სკამის დანიშნულება ისაა, რომ მასზე ადამიანი დაჯდეს. ჰოდა, დავჯექი თუ არა, სკამი ერთბაშად დაიშალა.

მაღაზიაში, სადაც ეს სკამი ვიყიდე, მეუბნებიან, იმ ფაბრიკამ უნდა აგინაზღაუროს ზარალი, რომელმაც ეს უდღეური სკამი გამოუშვაო. ფაბრიკიდან კი შემომითვალეს — ჩვენ ასეთ სკამებს ვუშვებთ, გინდ დაჯექი და გინდ ნუ დაჯდებიო! მე უკვე დავჯექი და დაიშალა კიდეც, ახლა როგორღა მოვიქცე?

მიხეილ ქაშიბაძე

(ქობულეთის რაიონი)



ნახ. ჯ. ლოლუასი

— ე მაგ შენ ტელევიზორსა რა ჰქვია?

— რავი, აბა, თუ გამოდგა, მამაჩემის სახელს დავარქმევ!

მედლის „არაყაცოგისათვის“ კავალრები

(ინფორმაციები რუსთავიდან)

მას შემდეგ, რაც გამოვიდა ცნობილი დადგენილება ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რუსთავქალაქში ლოთებისა და ალკოჰოლის მოყვარულთა რიცხვმა საგრძნობლად იკლო, სამაგიეროდ ზოგი მსმელი უფრო დახელოვნდა დალევაში და პროფესიონალი გახდა. ამჯერად „ნიანგის“ მკითხველებს ვთავაზობთ იმ გამოუსწორებელ ლოთთა არასრულ სიას, რომლებზედაც არც ხვეწნა-მუდარამ, არც მუქარამ, არც სასჯელმა და არც მკურნალობამ არ გაჭრა (სწორედ მათზეა ნათქვამი — „შეაყარე კედელს ცერცვიო“).

აი ისინიც:

ბორის ტიმოთეს ძე სტოროჟენკო, 1953 წელს დაბადებული, ლოთობაზე თავდადებული, სამედიცინო გამოსაფხიზლებლის არცთუ სასურველი, მაგრამ ხშირი სტუმარი, არც ლოგინი უყვარს, არც სასთუმალი, ორჯერ სტაცეს ხელი ქეჩოში და ორჯერ გაგზავნეს სამკურნალოდ საგარეჯოში.

თენგიზ ალექსანდრეს ძე მანაგაძე, 1947 წელს დაბადებული, რუსთავის მექანიკური ქარხნის ვაიმუშა, მისი მიზეზით საქმე ბევრჯერ ჩაიფუშა, სამკურნალოდ გაგზავნეს ერევანში, მაგრამ იქაც აიღო რევანში, იმარჯვა სმაში და ჭიქების მტვრევაში.

იური ივანეს ძე კლოკოვი, 28 წლის, მთვრალი ფეხზე დგას ძლივს, მერე ეცემა ძირს, არაყზე ვერ ათქმევინებ ძვირს, ძალა და ღონე სმას შეალია, ამჟამად უმუშევარია, ერევანში სამკურნალოდ გაგზავნეს ორი წლით, იქ წყურვილს იკლავს წყლით.

გია მიხეილის ძე ბერიშვილი, 36 წლის, მაწანწალა, ღვინომ ბევრჯერ აბანცალა, ისიც ერევანშია გაგზავნილი სამკურნალოდ.

მიხეილ გაბრიელის ძე ლუზანი, 56 წელს მიღწეული, ლოთების წრეში მსმელი ღირსეული, სულ ექიმები ჰყავს შისეული, არსად არ მუშაობს, ლოთობს და გულშავობს, ცხოვრობს ზაქარია ფალიას შვილის ქუჩაზე და სიმთვრალეში უყვარს სიმღერა „დამისხი, დამალევინე“.

ნოდარ შალვას ძე ბროძელი, რომ დათვრება სახლი ჰგონია ბოსელი, მიყრი-მოყრის ბოთლებს და ყანწებს, მერე ხან ფეხზე დგას, ხან წევს, მუშაობს ლითონკონსტრუქციების ქარხანაში, ხშირად გარეთაა, ხანდახან — შინ.

მიტო ამაიაკის ძე აგაჯანოვი, პენსიონერი, მეორე ჯგუფის ინვალიდი, პირველი კატეგორიის ლოთი, კატეგორიულად ვერ იტანს სიფხიზლეს, ინვალიდობის რას უშლის ჯგუფი, უყვარს შფოთი და ჩხუბი, არის 46 წლის, ეტანება ღვინოს და წნილს, რამეს რომ ეტყვი, წყინს. ორჯერ იყო გამოსაფხიზლებლის სტუმარი.

იური ივანეს ძე ბუდაევი — მუშაობს „საქმექანომონტაჟის“ მემონტაჟედ, მაგრამ მონტაჟისთვის სადა სცალია, მოკვდება თუ არ დალია. გამოსაფხიზლებელში სამჯერ გაათია ღამე, მაგრამ ჰკითხეთ, თუ ახსოვს რამე.

ვლადისლავ ვასილის ძე კუშლინსკი, 25 წლის, უსაქმური, უყვარს მუქთა ლუკმაპური, ადრე ნასამართლევი, ამჟამად მკურნალობს საგარეჯოში.

თეიმურაზ ნიკოლოზის ძე ელიკაშვილი — ხან სად მუშაობს, ხან — სად. მშობლებს გაუხდა თარსად, სასმელს არ ემალება არსად.

ტაისია ანანიას ასული პეტრენკო, ორმოც წელს მიტანებული ქალი, დალევს და არ ახსოვს სახელი, გვარი, მუშაობს რუსთავის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოში მღებავად, თან კედლებს ღებავს, თან არცხვენს ქალის სახელს.

ფრიდონ მაჭარაშვილი,
შს რუსთავის საქალაქო განყ-ბის სამედიცინო გამოსაფხიზლებლის უფროსი.

ნახ. ბ. პეტრიაშვილისა

უსიტყვოდ

ნახ. ბ. აბაზიძისა

— ყველაფერი რომ გაზიდეს,
ახლა ლესავ ამ ხვრელს?!

ნახ. ბ. ზუბაშვილისა

თვითკრიტიკა

იუმორესკა

— რომ მითხარით, ყველა გამოგონებას პროექტი და გაანგარიშება სჭირდებაო, ა, ბატონო, მოგიტანეთ! ახლა რაღას იტყვით?! — ამ სიტყვებთან ერთად ალმასკომის თავმჯდომარის ფართო მაგიდაზე ვეებერთელა დაგრაგნილი ქაღალდები დაგორდა.

— არ იშლი ხომ მაინც შენსას?! — ისე ახედა თავმჯდომარემ სტუმარს, ეტყობოდა, პირველად არ ხვდებოდნენ ერთმანეთს.

— რას ჰქვია ვიშლი, ბატონო, წაილო ქალაქი, ქარმა და არ ვუშველო?!

— არა, ეგ კარგი საქმე რაგიფიქრებია, მაგრამ ზრუნვაშვილი ამბობს...

— ზრუნვაშვილის — სახელი არ გამაგონოთ! რა იცის მაგან, სიმამრმა უყიდა დიპლომი!...

— კარგი ახლა, გამომგონებელი კაცი ხარ და ნუ იცი ასეთი ახირებული ლაპარაკი! ქალაქის მთავარმა არქიტექტორმა თუ არ იცის, მე რა...

— როგორ გეკადრებათ, ბატონო გიგა! თქვენა ხართ აქ უფროსი, „მერგოროდა“ და თქვენ უნდა დაამტკიცოთ ეს პროექტი, თანაც ზრუნვაშვილი აქაური კი არა, ტყიბულიდანაა ჩამოსული და რა ენაღვლება ჩვენი ქალაქი?!

— უკვე დამტკიცებას ითხოვ?! აკი თვითონვე გეეჭვებოდა?!

— ჰო, პირველი ალბათ მართლაც საეჭვოა.

— როგორ პირველი?! მეორეც გაქვს?!

— აბა, არა?! ერთხელ კიდევ გადავიანგარიშე და, მართლაც, ძვირი დაგვიჯდებოდა, ქალაქის გარშემო რომ ჩინეთის დიდი კედელივით აგვეშენებინა ქარსაცავი სარტყელი. ამიტომაც ახლა მეორე, უფრო რაციონალურსა და უნიკალურ პროექტს გთავაზობთ.

— კაი, კაცო!

— ნამდვილად! ა, ბატონო, ნახეთ, ყველაფერი გაანგარიშებული და დაფიქსირებულია. ჩვენს ქალაქს ქარი ძირითადად აღმოსავლეთიდან ურტყამს. ხომ ასეა? ამიტომაც უნდა ავაგოთ დიდი და ფართოთავიანი ძაბრი, რომ მთელი ეს აღმოსავლეთიდან მოწოლილი ქარი ქალაქს ავარიდოთ და ამ ძაბრში გავუშვათ შლიგინ-შლიგინით.

— მერე, საით გინდა მიუშვირო ეს ქარი?

— საით და აგერ, სამტრედიისაკენ.

— რას ამბობ, კაცო! ხომ წალეკა სამტრედია ამ ქარმა!

— წალეკა და წალეკოს!

— კი მაგრამ, რა დაგიშავეს ასეთი სამტრედიელებმა, შე ულმერთო?!

— რა დამიშავეს და, ქალი არ გამომატანეს ახალგაზრდობაში, ქალი!

გოგია წარბა

„ოთაჩგურაკის“ ერთის მოხოლოეკრ.

ფელეტონი

ქუთაისში და წყალტუბოს ზონაში რომ იკითხო ჩემი გვარი და სახელი — **არტემ გოგობერიშვილი** როგორი პურმარილიანი კაციაო, დიდი და პატარა სალოკ თითს ყველა აი, ასე გამართულს გიჩვენებს. ახლა იმას არ იკითხავ, № 2 ტრესტის „ყოფრემმშენის“ წყალტუბოს სამმართველოს სისტემაში, სადაც მე ვმუშაობდი კაი ხანი უფროსობა როგორ მაფასებდა...

— მაინც ვერ გაიგე, ჩემო იმანო, რაშია საქმე? კი, ბატონო, ახლავე მოგახსენებ.

ქუთაისში ჭავჭავაძის გამზირის №39-,24 ბინაში ვცხოვრობ. კი, კარგი ბინა მაქვს... როგორც მოგახსენე, ვმუშაობდი № 2 **ტრესტის „ყოფრემმშენის“ წყალტუბოს სამმართველოს გეგუთის № 5. საქმიანი ეზოს მუშა-ბრიგადირად. ჰოდა, 1987 წლის 7 დეკემბერს კლიენტი ბუდუ ავალიშვილი** (მისი გვარი შემდეგ გავიგე) მეწვია. ასე და ასე, ჩემო არტემ, მშენებლობას ვაწარმოებ და აბა შენ იცი, წიწვოვანი ჯიშის ხის მასალა მინდა 2,5 კვ მეტრი იატაკისთვისო და 32 გრძივი მეტრი „პლინტუსიო“. 780 მანეთი დაგიჯდებათ-მეთქი. ბატონი ბრძანდებიო. ორი დღის შემდეგ დავიბარე. დანიშნულ დღეს მოვიდა ბუდუ ავალიშვილი. მან 780 მანეთი ჩამითვალა. მეც შეკვეთილი მასალა ჩავაბარე. დატვირთა ავტომობილი მასალით. „კარგად იყავიო, — დამიბარა და წავიდა. მისი წასვლიდან 30 წუთიც არ იყო გასული, კანტორის ფანჯრიდან ვხედავ, ბუდუია ისევ დაბრუნდა მასალით დატვირთული ავტომანქანით. თან მილიციის ორი მუშაკი ახლდა. გულმა რეჩხი მიყო. აქ ფარსაგათ არ იყოს საქმე-მეთქი. ისე აგიხდეს ყველაფერი. მილიციის მუშაკებმა ასე და ისეო, მასალების პრეისკურანტი, ე. ი. ფასების სისწორე უნდა შემოწმდესო. ბატონი ბრძანდებით-მეთქი. თან სიტყვაც გავუტრიზავე: — სასწორის სისწორე მწონავზე კიდია-მეთქი, ე. ი. აბა, თქვენ იცით და მეც აგერ ვარ-მეთქი. მათ თითქოს ვერაფერი ვერ გაიგეს, აქტი გამიშანშალეს. **ნომერიც კი დაუსვეს 005110. იანგარიშეს და მასალის ნამდვილი ღირებულება. რომელიც ბუდუია ავალიშვილს მივყიდე, 730 მანეთი და 43 კაპიკი გამოიყვანეს. შენეო ,მითხრეს, ზედმეტი აიღე 49 მანეთი და 57 კაპიკიო.** აქტზე ხელი მომაწერინეს და ისიც კი დააყოლეს, ვინ იცის ასე რამდენი კლიენტი გყავს გაცურებულიო. მეც კაი კაები ვუთხარი: ქურდს თუ ვერ დაიჭერ, ქურდი არ არის-მეთქი. აბა, როგორ, მეც მესმის რაღაცა...

წყალტუბოს რაიონის სახალხო სასამართლომ 1988 წლის 18 იანვრის განაჩენით ფასების დამახინჯებისათვის 400 მანეთით დამაჯარიმა, თან 4 წლით ჩამომართვა სავაჭრო თუ საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების და კომუნალური მეურნეობის საწარმოებში თანამდებობათა დაკავების უფლება. ესაა საქმე?

ოთარ ბუცხრიკიძე ჩემი ძმაკაცია-მეთქი ვერ ვიტყვი, მაგრამ არც უმაგისობაა... **ისიც ქუთაისელია, ცხოვრობს ჩანჩიბაძის ქუჩის №72 სახლში.** ორივენი ერთ წელსა ვართ დაბადებული. ორივენი ერთი ორგანიზაციიდან ვართ — **ის №2 ტრესტის „ყოფრემმშენის“ წყალტუბოს სამმართველოს ქვიტირის მოზაიკური კიბის საფეხურებისა და საზეინკლო საამქროს მუშა-ბრიგადირად მუშაობდა.** მხოლოდ ესაა, ჩემსავით უმაღლესი განათლება არ ჰქონდა. გასული წლის 9 დეკემბერს (ორივესათვის დეკემბერი ნავსიანი გამოდგა) ბუცხრიკიძემ დამკვეთ გიგლა გუბელაძეს 7 ცალ მოზაიკური კიბის საფეხურში **ნაცვლად 102 მანეთისა და 20 კაპ. გადაახდევინა 112 მანეთი, ე. ი. ზედმეტად აიღო რაღაც 9 მან. და 80 კაპ.**

წყალტუბოს რაიონის სახალხო სასამართლომ ოთარ ბუცხრიკიძე 1988 წლის 15 მარტის განაჩენით ჩემსავით 400 მანეთით დააჯარიმა, ოღონდ სავაჭრო თუ საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების და კომუნალური მეურნეობის საწარმოებში მომსახურების თანამდებობათა დაკავების უფლების ჩამორთმევის გარეშე.

გული რაზე მწყდება, ჩემი იმანო, იცი? ვიკადრე და ეს უმაღლესი განათლების მქონე კაცი მუშა-ბრიგადირად გავფორმდი და ვმუშაობდი. სასამართლოს ხომ უნდა გაეთვალწინებინა თავის განაჩენში საშეღავათო გარემოებად ჩემი ცოდნა და განათლება? კი. ხომ არ უნდა ჩამოერთმია ჩემთვის სავაჭრო ორგანოებში თანამდებობების დაკავების უფლება?. არა. მით უფრო, რომ ჩემს უფროსებსაც გული დაწყდათ ჩემზე. რა გვეშველება უშენოდო... კი, ასეა ეს.

— არ ვარ სწორი? შენ რას იტყვი, ჩემო იმანო?

მინაწერი: ვეთანხმებით სასამართლოს მიერ „დაჩაგრულ“ არტემ გოგობერიშვილს, რომ № 2 ტრესტის „ყოფრემმშენის“ წყალტუბოს სამმართველოს მესვეურნი ერთობ გულმოწყალენი ყოფილან, რაკი ასე ადვილად ურიგდებიან ისინი თავიანთ ობიექტებზე ფასების სისტემატურ დამახინჯებებს. „საქციელი სარკეა, რომელშიც თითოეული თავის სახეს უჩვენებს“ — ამბობს გოეთე.

ზაალ მესხენგისერი
საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს
უფროსი კონსულტანტი

ნახ. ვ. კუციასი

ბლიჟვნელობა!..

ნახეთ, სულიერ სულიერებაში

სუსტი წიგნების ავტორს

ხუთი წიგნი გამოუშვა პოეტია, ვერას იტყვი.
ხუთივეში რაც წერია, ხუთი სიტყვით გამოითქმის.

სპეკულანტს

თავს — ცილინდრი, ყელს — ჰალსტუხი, მეტი რაღა უნდა ვახოს,
სამარცხვინო საქმეს სჩადის, სჯობს ცოცხლადვე დაიმარხოს!

დახლქვეშ მოვაჭრე გამყიდველს

გაუკვირდა გრამიტონას, როცა თავი აიწონა,
უწინ ჰქონდა კაცის წონა და გამხდარა ხარის ტოლა.

ზოგიერთი ლექტორის ქალიშვილს

— კომისიაში არ იყო წელს ძვირფასი მამიკო,
აგარაკზე რით წავიდეს, — ბუზღუნებდა დარიკო.

ტაქსის მძღოლის შეგონება

ულვაშიანმა ვაჟკაცმა, ხელი გამომიწოდა,
ხურდას მთხოვდა სანყალი, სირცხვილით არ იწვოდა.

საქმოსანს

სკოლა ძლივსღა დავამთავრე, სულ ვიყავი სამოსანი,
საქმეს ვჩარხავ როგორც მინდა, მე გახლავართ საქმოსანი.

ოთარ ნაჭყებია
(ქ. სოხუმი)

КОНТРОЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

ინციდენტი სეომარი დენთით



(პოლიტიკური ფელეტონი)

წაილე იქით, იარაღს ნუ აყღარუნებო სპარსეთის ყურეში, უთხრეს ჯერ კიდევ შარშან ძია სემს, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, არ შეუშვა ყურეში ახლა კი, როცა საომარი კვლავ ახრჩოლდა დენთი და მოხდა ინციდენტი, გულზე ხელს იდებს და ისე იფიცებს პრეზიდენტი, არაო, ჩვენი არავინ ტყუოდაო, არც კრეისერი და არც წყალქვეშა ნავიო, ჯიუტად შემოგვეტენა თვითონ ირანის თვითმფრინავიო. ავიაკომპანია „ირან ეირის" უთუოდ ეწადა ასეთი სეირიო, თვითმფრინავის 298 მგზავრში, ვიცით, ბევრი იყო ბავშვი, მაგრამ ჰაერში სასეირნოდ მათ არ ჰქონდათ საშვიო, ამასვე დასძენენ მთავრობის მოხელენი და კონგრესმენები ხან სხარტად, სნრაფად, ხან სვენებ-სვენებით, რა მოხდა, ხუმრობაშიც ხომ კვდება კაციო, აქ კი ხაზი ვერ შევნიშნეთო სადემარკაციო. სამხედროებიც მუნდირებს ისწორებდნენ, შეცდა რადარიო და ამის გამო ასეთი ხმაური რად არიო.

ამერიკული ფლოტის აღვირახსნილი მოქმედების საყოველთაო დაგმობის და გლოვის ფონზე დასავლეთის ჟურნალისტები ამაოდ ცდილობენ შეთხზან მივინყებული „საბჭოური მუქარის" მითები, ამაოდ ირჯებიან, იმპერიალისტურ მჩხავანა ყვავს მოარგონ მტრედის თეთრი ფრთები... უადგილო ანალოგიას მიმართავენ.

გახსოვთო, სამხრეთკორეული ბოინგიო, ხელს აქეთ იშვერენ, ჩვენ როდი დაგვაბნევსო დროისა და ადგილის სიშორე. რა მოხდა, თუ ბოინგმა ხუთასი კილომეტრით გადმოუხვია ტრასიდან და შემოფრინდა თქვენი ტერიტორიის თავზე, როგორც მსტოვარი, ხომ უნდა გაგეგოთ, იქნებ რა მოჰქონდა თქვენთვის ღირსსახსოვარი? ისიც უნდა აგეტანათ იოლად, რომ ის ამერიკის სადაზვერვო თვითმფრინავს მოუძღვოდა გზამკვლევად, განა რა დაშავდა, თუ მან შუქჩამქრალმა ათი ათას მეტრ სიმაღლეზე გადაუფრინა კამჩატკისა და სახალინის თავდაცვის ობიექტებს, თქვენ კი რა ჩაიდინეთ — ჩამოსაგდებად სულ იოლად გაიმეტეთ. მართალია, ორივე თვითმფრინავს ერთნაირი ჰქონდა ფორმაც, ფრენის რეჟიმიც და გაბარიტებიც, მაგრამ ღამითაც კი ვალდებული იყავით გაგერჩიათ, რომელს მოჰქონდა საშიში ტვირთი და რომელს უზადო მარგალიტები. აკი იმადაც შეგრაცხეს ჩვენმა მმართველმა წრეებმა ბარბაროსებად და მთელ მსოფლიოს მოსდეს თქვენი საქციელით თავიანთი გაოცება.

ამ დემაგოგიამ წაიცდინა ბრბო, მანანნალები და ვიგინდარები — საბჭოთა წარმომადგენლობებს ამერიკაში ყველგან უმტვრიეს კარები...

ახლა ვაშინგტონში სულ სხვანაირად ივსება ანკეტები მათი, ვინც ასე ბედიავად დაძრა რაკეტები, იხაზება სქემები სროლის ტრაექტორიების, ისინჯება რუკებზე სხვა ტერიტორიები.

ბოდიშობენ, დღისით-მზისით თვალები დაგვეფსოო, ვეღარ ვარჩევდით სამგზავრო და სამხედრო თვითმფრინავებსო, ვერც რადიოსიგნალები ვისმინეთ, ვერც საგაბარიტო შუქები შევნიშნეთო და ვერც მისი ფერიო და მტრად მივიჩნიეთ მგზავრებით სავსე ავიალაინერიო.

და როცა საყოველთაო გლოვის დაუდგა ირანს დღენი, ამერიკა თავის „დამოუკიდებლობის დღეს" აღნიშნავდა საზეიმო ჩირაღდნებით.

სწორედ ეს — სხვათა უბედურების დღეებში გამართული ზეიმის პიკი აფიქრებინებს ამერიკის პროგრესულ მოღვაწეებს, რომ მომხდარი ინციდენტი შეცდომაა არა ტექნიკის, არამედ პოლიტიკის.

ელგუჯა მერაბიშვილი



სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი" №17 (1771) სექტემბელი გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორის მოადგილე
გეჟან სიხარულიძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია,** ზაურ ბოლქვაძე (მთავარი რედაქტორი), ბორის გურგულია, **რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია** (მხატვარ-რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ჯანსულ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.**

ტექნიკური რედაქტორი **ირაკლი დუნდუა**

გადაეცა ასაწყობად 01. 08. 88 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 09. 09. 88 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი **1,5.** სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი **1,9,** საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის 14, შეკვ. 1970, უე 04795, ტირაჟი 137500. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76137